

## რიდერი #1

### „ზეპირი თარგმანის“ კურსის პრაქტიკული და თეორიული მასალები

(თეორიული ნაწილი შედგენილია „თარგმანის თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკის“ სალექციო კურსის მიხედვით)

სპეციალობა: ინგლისური ფილოლოგია

#### *ლექცია - 1სთ:*

*თარგმანის როლი თანამედროვე საზოგადოებაში. ზეპირი თარგმანის სპეციფიკა და ძირითადი სახეობები (თანმიმდევრული, სინქრონული, ფურცლიდან). ზეპირი თარგმანის ჟანრები (საჯარო სიტყვა, ინტერვიუ, პრეზენტაცია და ა.შ.).*

*ლიტ. 1 გვ.17-29; 4 გვ.4-8*

#### **თარგმანის ტიპების კლასიფიკაცია ფორმის მიხედვით**

ალექსეევა გამოყოფს ზეპირ, წერილობით და მანქანურ თარგმანს. ყოველ ამ სახეს გააჩნია თავისი ჟანრული სისტემა, რომელიც თავის მხრივ იყოფა ქვეჟანრებად. ამ ფორმებს შორის ჟანრულ სისტემაში შეიმჩნევა ერთგვარი დიფუზია, ანუ გარდამავალი შუალედური ფორმები.

ამ კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს თარგმანში მოქმედი პირის, ანუ შემსრულებლის კატეგორია, რაც საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ორი სახის თარგმანი: 1. ადამიანის მიერ შესრულებული თარგმანი და 2. მანქანის მიერ შესრულებული თარგმანი.

ადამიანის მიერ შესრულებული თარგმანის სახეების გამოვლენისას კი ყურადღებას ვამახვილებთ ორ მომენტზე: 1) საწყისი ტექსტის აღქმის პირობები; 2) თარგმანის გაფორმება. ინფორმაციის აღქმა შეიძლება იყოს მხედველობითი და სმენითი გზით, რაც უკვე გვაძლევს საშუალებას განვასხვავოთ ზეპირი თარგმანი და წერილობითი თარგმანი. თარგმანის გაფორმებაც, შესაბამისად, ხდება წერილობითი ან ზეპირი სახით, რომელსაც ახორციელებს მთარგმნელი ან თარჯიმანი.

## ზეპირი თარგმანის ძირითადი ფორმები

ზეპირი თარგმანი თარგმნის ისეთი ტიპია, როდესაც ორიგინალი და მისი თარგმანი არაფიქსირებული სახით გვევლინება. ეს განაპირობებს ორიგინალის ერთჯერადობას და განუმეორებლობას, დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების გამოსწორების შეუძლებლობას. ორიგინალი ტექსტიდან ინფორმაციის ამოღების პროცესიც თავისებურებით გამოირჩევა. წერილობითი თარგმანისგან განსხვავებით ტექსტის სრულად აღქმა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რიტმზე, ტეპზე, პაუზათა ოდენობასა და ხანგრძლივობაზე. ინფორმაციის ამოღება ცალკეულ მონაკვეთებათ ხდება, დაყოფილი ინფორმაციის ჯაჭვიდან. ხშირად მთარგმნელს უწევს გამოტოვებული ინფორმაციის, ან მისი წინასწარი პროგნოზირება. ამისათვის იგი იშველიებს ორატორის ტექსტში საყრდენ-აზრობრივ მონაკვეთებს. ამ დროს გარდაუვალია სხვადასხვა სახის დანაკარგი: სემანტიკური, კომუნიკაციური, სტილისტური, თუ სინტაქსური. ზეპირი თარგმანი აღწერს ასეთი დანაკარგების კომპენსირების ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს და მაკომპენსირებელ ფაქტორებს, როგორცაა ცოდნა და გამოცდილება, ინტონაცია, ემოციური შეფერილობა.

მეცნიერები გამოყოფენ ზეპირი თარგმანის შემდეგ სახეებს: 1) ფურცლიდან თარგმანა; 2) აბზაცურ-ფრაზული; 3) თანმიმდევრული თარგმანი, ჩანაწერებით; 4) ორმხრივი; 5) სინქრონული. თარგმანის ზოგიერთი თეორეტიკოსი, მაგალითად, მ.ლატიშევი და ვ.პროვოროტოვი განასხვავებენ თანმიმდევრული თარგმანის მხოლოდ ერთ სახეს – როდესაც ორიგინალის თარგმანა ხდება მისი სრული მოსმენის შემდეგ, მოსმენისას გაკეთებული ჩანაწერების დახმარებით. მაშინ როდესაც რ.მინიარ-ბელორუჩევი და ვ.კომისაროვი თანმიმდევრულ თარგმანში აერთიანებენ ფრაზულ-აბზაცურ და ჩანაწერებით განხორციელებულ თარგმანს, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი არ გულისხმობს ორიგინალის სრულად მოსმენას. ბრალოდ მოსმენილი მონაკვეთის, რომელიც საკმაოდ მოკლეა აბზაცურ-ფრაზული თარგმანის შემთხვევაში, სიგრძე გაცილებით დიდია (25-30 წწ. და მეტი).

რაც შეეხება სინქრონული თარგმანს, მის დროს თარგმნის პროცესი აუდირების პარალელურად მიმდინარეობს, ანუ ორატორის მეტყველების

აღქმასთან ერთად. ზეპირი თარგმანის თეორიაში აღნიშნულია თარგმანის მეტყველების შემდეგი თავისებურებები: მაგალითად, ნელი არტიკულაცია, ყოყმანი, პაუზები ვარიანტების შერჩევისას, რაც ორიგინალსა და თარგმანს შორის ინტერვალს 3-4-ჯერ ზრდის. სინქრონული თარგმანი თარგმანის მეტად რთული სახეა, რადგანაც იგი რთულ აზრობრივ პროცესს წარმოადგენს.

სინქრონულთან შედარებით ზეპირი თარგმანის სხვა სახეები ნაკლებ გონებრივ დამაბულობას მოითხოვს, თუმცა ისინიც ხშირად ექსტრემალურ პირობებში ხორციელდება. გარდა ამისა მათ უკვე უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. თარგმანს ევალუა შეინარჩუნოს აზრობრივი და სინტაქური სტრუქტურა ტექსტისა. მაგრამ თარგმანის თეორია აქაც უშვებს სხვადასხვა სახის დანაკარგებს, როგორცაა, განმეორებული აზრის გამოტოვება, სიტყვის გამოტოვება, სინტაქური სტრუქტურის გამარტივება, სტილის განეიტრალება. მთარგმნელი ცდილობს ეს დანაკარგები მინიმუმამდე დაიყვანოს.

#### **(1) ზეპირი თარგმანისთვის საჭირო ბაზურ უნარ-ჩვევებზე მუშაობა:**

1. „ოპერატიული“ მეხსიერების გაუმჯობესება (მნემოტექნიკური ვარჯიშები)  
(საკუთარი სახელები და ტოპონიმები, ციფრობრივი ინფორმაცია, შერეული ტექსტი)
2. მოკლე და ვრცელი ტექსტის დამახსოვრება
3. სიტყვების მარაგის გაზრდა
4. ყურადღების კონცენტრაციის უნარის გაუმჯობესება.
5. ერთი ენიდან მეორეზე სწრაფი გადართვა
6. ტექსტის პროგნოზირების უნარი და ზოგადი ანალიზი
7. საცნობარო მასალასთან მუშაობა
8. ტრანსფორმაციები თარგმანში
9. ტიპური შეცდომები და მათი შესწორება

*ლექცია - 1 სთ:*

*თარგმანის მნიშვნელოვანი სტრატეგიები. ზეპირი თარგმნის სირთულეები და ხარისხისადმი მოთხოვნები. ტექსტის თარგმნის ფონეტიკური სირთულეები.*

*ლიტ. 1 გვ. 205-212; 4 გვ. 10-15*

*ჯგუფური მუშაობა - 2 სთ.*

*ტექსტის თარგმნის ფონეტიკური სირთულეები.*

*ლიტ. 3 გვ. 149-160*

თარგმნის სახეები (კომუნიკაციური მიზნის მიხედვით): [ტ.ა.კაზაკოვა]

**I. შემცირებული (შეკვეცილი) თ.**

ექვემდებარება: თითქმის ყველა ტიპის ტექსტი, საქმიანი წერილიდან რომანით დამთავრებული.

შედეგი: თეზისები, კონსპექტი, რეფერატი, ანოტაცია და მისთ.

ა. არჩევითი თარგმანი

ასეთი თარგმნისას ხდება საკვანძო სიტყვათა (ავტორის აზრით) მთარგმნელოთ ერთეულთა არჩევა და მათი *სრული* თარგმანი. დანარჩენი კომპონენტები უგულბებელყოფილია, როგორც მეორეხარისხოვანი კომუნიკაციური მიზნის მისაღწევად და საერთოდ არ ითარგმნება. მსგავსი თარგმანი ხშირად გამოიყენება საქმიანი წერილების, საგაზეთო სტატიების, მეცნიერული სტატიების, მოხსენებების თეზისულ-რეფერატული სახით გადმოცემისათვის. თარგმანის სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორა იყო შერჩეული საკვანძო ერთეულები, რომ თარგმანში არ დაიკარგოს საწყისი ინფორმაცია.

ბ. ფუნქციონალური თარგმანი

ასევე შემცირებაში მოიაზრება არა ცალკეული კომპონენტების გამოტოვება, არამედ საწყისი ტექსტის ერთეულთა გარდაქმნის შედეგად სათარგმნი ტექსტის შექმნა. ფუნქციონალური გარდაქმნა შეიძლება ეყრდნოდეს ლექსიკურ-სტილისტურ, გრამატიკულ და სტილისტურ ტრანსფორმაციას, რომელიც გამოიყენება მისი საერთო შემცირებისა თუ გამართვებისათვის. თრანსფორმაცია-ჰამარტივების გარდა ფუნქციონალურ თარგმანში დაშვებულია ასევე

განსაკუთრებით რთულ მონაკვეთთა გამოტოვებაც, რაც აუცილებელი არ არის, ვინაიდან ეს მონაკვეთებიც შეიძლება იყოს გამარტივებული.

## **II. სრული თარგმანი**

გამიზნულია: ყველა კომპონენტის გადაცემაზე. მისი ყველაზე გავრცელებული სახეებია: *ბუკვალისტური*, *ანუ სიტყვასიტყვითი* თარგმანი, *სემანტიკური* თარგმანი და *კომუნიკაციური* თარგმანი.

### *სიტყვასიტყვითი თარგმანი*

წარმოადგენს ამოსავალი ტექსტის სიტყვასიტყვით თარგმანს, შესაძლებისამებრ ელემენტთა თანმიმდევრობის შენარჩუნებით. ასეთი ტიპის თარგმანი შედარებით იშვიათად გამოიყენება და ჩვეულებრივ, მეცნიერულ სფეროში არის გავრცელებული. სიტყ. თარგმანი ასევე გამოიყენება კონტარებში უთარგმნელი სიტყვათა თამაშის თუ ფრაზეოლოგიზმების გადმოცემისას (ხშირად ასეთ თარგმანს ახლავს კიდევ მინიშნება “სიტყვასიტყვით”).

### *სემანტიკური თარგმანი*

გულისხმობს ორიგინალის ელემენტთა კონტექსტუალური მნიშვნელობის გადმოცემას. ამ დროს ორმხრივი სტრატეგიეს მიმართავენ: თარგმანის ენაში მიღებული გამოხატვის საშუალებაზე ორიენტირება და ამავდროულად, ორიგინალის თავისებურებათა შენარჩუნება.

ს.თ., როგორც წესი, გამოიყენება მარალი სოციალურ-კულტურული სტატუსის მქონე სიტყვებთან გამოიყენება: მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტები, ლიტერატურული ნაწარმოებები და ა.შ. იგი ასევე გამოიყენება ტექნიკური ინსტრუქციების თარგმნისას, მეცნიერულ პუბლიკაციათა დიდ ნაწილში და იურიდიულ დოკუმენტებში.

### *კომუნიკაციური თარგმანი*

მიზნად ისახავს საწყისი ინფორმაციის ისეთ გადაცემას თარგმანის ენაზე, რომ მან ორიგინალის მსგავსი კომუნიკაციური ეფექტი მოახდინოს. მთავარ სათარგმნ ობიექტს ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს ორიგინლის შინაარსობრივი და ემოციურ-ესთეტიკური მნიშვნელობა. ამასთანავე, ფუნქციონალური თარგმანისგან განსხვავებით, კომუნიკაციურში არ დაიშვება შემოკლება-განმარტებანი. მხატვრულ თარგმანს, ფაქტობრივად, შეიძლება კომუნიკაციური თარგმანი ვუწოდოთ, რადგანაც იგი ორიენტირებული არის მკითხველის პრაგმატიკაზე. ასეთი თარგმანი გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში, პუბლიცისტიკაში, ხშირად მეცნიერულ-თეორიულ და მეცნიერულ-პოპულარული ტექსტების თარგმნისას და ა.შ.

**დავალება 1. მოიძიეთ ქართული შესატყვისობა შემდეგი სახელებისა და დასახლებებისთვის**

(1) Eugene Garside Edward Westbury

Sophie Wilkins Aubrey Herbert

Graham Hancock Katharine Woolley

James Dylan Giles G, Stephens

Marion Edmonds William Cathcart

Howard Carter H. J. Plenderleith 78

---

(2) Tutankhamen Chichen-Itza

Amenemhet Moctezuma Pyramid of Cheops Nebuchadnezzar

Chephren Quetzalcoatl

Mcnelaus Rosetta Stone

Euripides Queen Shub-ad

Eurymedon Xerxes

Corinth Harun al-Rashid

Phidias Nazareth Zeus

B. Vintage Books

Random House of Canada Limited

Dell Publishing Co., Inc.

United States Environmental Protection Agency

Trace Analytical Laboratories, Inc.

Eastman Kodak Company

Symantec Corporation

UNIX System Laboratories

Hitachi, Ltd.

CompuServ, Inc.  
(3) The Grand Canyon Wyoming  
River Dart Kentucky  
Devonshire New Jersey  
North Carolina Rhode Island  
British Columbia Cornwall  
the Gulf of Mexico Grey Wethers  
Ocean-city Grosvenor Square  
Mount Rainier Okehampton Castle

*ლექცია - 1 სთ.*

*გეოგრაფიული და საკუთარი სახელების თარგმანი. აბრევიატურები.*

*ლიტ. 2 გვ.74-76*

*ჯგუფური მუშაობა - 2 სთ.*

*კალკირების სპეციფიკა და ძირითადი წესები. ტრანსკრიბცია და ტრანსლიტერაცია  
კერძო სახელების გადატანის დროს.*

*მნემოტექნიკური ვარჯიშები.*

*ლიტ. 2 გვ.74-76*

**მნემოტექნიკური ვარჯიშები:**

**დავალების ტიპი: მექანიკური ოპერატიული მებსიერების გავარჯიშება (სახელები,  
ციფრები, ტოპონიმები, რეალიები)**

**დავალება 1. მოისმინეთ და გაიმეორეთ სიტყვები**

**დავალება 2. მოისმინეთ და გადათარგმნეთ სიტყვები**

**სიტყვების ბლოკი #1 (ტოპონიმები):**

## **Africa**

Algeria, Angola, Benin, Botswana, Burkina Faso, Burundi, Cameroon, Cape Verde, Chad, Congo, Democratic Republic of the Congo, Republic of the Congo, Eritrea, Ethiopia, Gabon, Gambia, Ghana, Ivory Coast, Kenya, Lesotho, Liberia, Madagascar, Malawi, Mali, Mauritius, Mozambique, Namibia, Niger, Nigeria, Rwanda, Senegal, Seychelles, Sierra Leone, South Africa, Sudan, Swaziland, Tanzania, Uganda, Zambia, Zimbabwe

## **Americas**

Antigua and Barbuda, Argentina, Bahamas, Barbados, Belize, Bermuda, Bolivia, Brazil, British Virgin Islands, Canada, Cayman Islands, Chile, Colombia, Costa Rica, Cuba, Dominica, Dominican Republic, Ecuador, El Salvador, Grenada, Guatemala, Guyana, Haiti, Honduras, Jamaica, Mexico, Montserrat, Nicaragua, Panama, Paraguay, Peru, Saint Lucia, Saint Maarten, Suriname, Trinidad and Tobago, Turks and Caicos, United Nations, Uruguay, Venezuela

## **Asia-Pacific**

Afghanistan, Australia, Bangladesh, Bhutan, Brunei, Cambodia, China, Fiji, India, Indonesia, Japan, Korea, North, Korea, South, Laos, Macau, Malaysia, Myanmar, Nepal, New Zealand, Pakistan, Papua New Guinea, Philippines, Singapore, Sri Lanka, Taiwan, Thailand, Vietnam

## **Europe**

Albania, Andorra, Austria, Azerbaijan, Belarus, Belgium, Bosnia and Herzegovina, Bulgaria, Croatia, Cyprus, Czech Republic, Denmark, Estonia, Finland, France, Georgia, Germany, Greece, Hungary, Iceland, Ireland, Italy, Latvia, Liechtenstein, Lithuania, Luxembourg, Macedonia, Malta, Moldova, Netherlands, Norway, Poland, Portugal, Romania, Russia, Scotland, Serbia and Montenegro/Kosovo, Serbia and Montenegro/Montenegro, Serbia and Montenegro/Serbia, Slovakia, Slovenia, Spain, Sweden, Switzerland, Turkey, Ukraine, United Kingdom/Great Britain, United Kingdom/Northern Ireland, United Kingdom/Scotland, United Kingdom/Wales, Vatican

## **Middle East**

Algeria, Bahrain, Egypt, Iran, Iraq, Israel and the Occupied Territories, Jordan, Kuwait, Lebanon, Libya, Morocco, Oman, Qatar, Saudi Arabia, Syria, Tunisa, Tunisia, United Arab Emirates, Yemen

სიტყვების ბლოკი #2: (სახელები)

<u>Wagner</u>	<u>Borgny</u>	<u>Arcadia</u>	<u>Hugo</u>	<u>Joo-Eun</u>
<u>Arkin</u>	<u>Waldemar</u>	<u>Ares</u>	<u>Izaak</u>	<u>Jung</u>
<u>Wim</u>	<u>Thijs</u>	<u>Areta</u>	<u>Jakob</u>	<u>Kwan</u>
<u>Rutger</u>	<u>Wolter</u>	<u>Aretha</u>	<u>Ha-Neul</u>	<u>Kyon</u>
<u>Birget</u>	<u>Zeeman</u>	<u>Jeremias</u>	<u>Jeremias</u>	<u>Min</u>
<u>Audun</u>	<u>Aleksia</u>	<u>Joost</u>	<u>Josef</u>	<u>Ha-Neul</u>
<u>Audun</u>	<u>Saskia</u>	<u>Ariadne</u>	<u>Kaatje</u>	<u>Seung</u>
<u>Aundy</u>	<u>Schuyler</u>	<u>Aricia</u>	<u>Aretina</u>	<u>Yong</u>
<u>Sofie</u>	<u>Schuyler</u>	<u>Arista</u>	<u>Argus</u>	<u>Soo</u>
<u>Skipper</u>	<u>Eirik</u>	<u>Aristedes</u>	<u>Bae</u>	<u>Sun</u>
<u>Dagny</u>	<u>Egil</u>	<u>Aristo</u>	<u>Bo-Bae</u>	<u>Yobachi</u>
<u>Sun</u>	<u>Thies</u>	<u>Kalie</u>	<u>Chin</u>	<u>Zaid</u>
<u>Tryne</u>	<u>Moon</u>	<u>Karel</u>	<u>Cho</u>	<u>Zina</u>
<u>Erik</u>	<u>Yon</u>	<u>Karel</u>	<u>Dae</u>	<u>Hidi</u>
<u>Jens</u>	<u>Van</u>	<u>Sakda</u>	<u>Kees</u>	<u>Ibeamaka</u>
<u>Magna</u>	<u>Veit</u>	<u>Aksel</u>	<u>Shin</u>	<u>Isoke</u>
<u>Nils</u>	<u>Deman</u>	<u>Kyler</u>	<u>Nelleke</u>	<u>Jayvyn</u>
<u>Reidun</u>	<u>Dirk</u>	<u>Sumalee</u>	<u>Barend</u>	<u>Jelani</u>

<u>Siv</u>	<u>Dorothea</u>	<u>Sunee</u>	<u>Brandie</u>	<u>Paulo</u>
<u>Sofia</u>	<u>Gisela</u>	<u>Karel</u>	<u>Brandy</u>	<u>Rach</u>
<u>Trigve</u>	<u>Hugo</u>	<u>Kama</u>	<u>Carel</u>	<u>Chiamaka</u>
<u>Aroon</u>	<u>Klaas</u>	<u>Andras</u>	<u>Claus</u>	<u>Chike</u>
<u>Chet</u>	<u>Jakob</u>	<u>Klaas</u>	<u>Demam</u>	<u>Chipo</u>
<u>Kama</u>	<u>Aricin</u>	<u>Jin</u>	<u>Dirk</u>	<u>Dakarai</u>
<u>Sirikit</u>	<u>Joost</u>	<u>Piet</u>	<u>Dorothea</u>	<u>Tale</u>
<u>Kanya</u>	<u>Josef</u>	<u>Roosevelt</u>	<u>Gisela</u>	<u>Tapanga</u>
<u>Mali</u>	<u>Kaatje</u>	<u>Lene</u>	<u>Gi</u>	<u>Arziki</u>
<u>Niran</u>	<u>Karel</u>	<u>Maarten</u>	<u>Hea</u>	<u>Aba</u>
<u>Prasert</u>	<u>Jin</u>	<u>Marieke</u>	<u>Ho</u>	<u>Gamba</u>
<u>Kalie</u>	<u>Joo-Chan</u>	<u>Kees</u>	<u>Izaak</u>	<u>Aitan</u>
<u>Catava</u>	<u>Amandla</u>	<u>Faraji</u>	<u>Baako</u>	<u>Bron</u>
<u>Chata</u>	<u>Halima</u>	<u>Femi</u>	<u>Aissa</u>	<u>Essien</u>
<u>Anana</u>	<u>Ellema</u>	<u>Ebere</u>	<u>Caimile</u>	<u>Habika</u>
<u>Blaz</u>	<u>Adelaide</u>	<u>Franz</u>	<u>Jenell</u>	<u>Dutch</u>
<u>Jeremias</u>	<u>Carl</u>	<u>Adelmo</u>	<u>Hansel</u>	<u>Edeline</u>
<u>Kelby</u>	<u>Egmont</u>	<u>Brigitte</u>	<u>Elrica</u>	<u>Johann</u>

<u>Johannes</u>	<u>Adelina</u>	<u>Callan</u>	<u>Alfons</u>	<u>Eldwin</u>
<u>Claudius</u>	<u>Adalgiso</u>	<u>Carleigh</u>	<u>Alric</u>	<u>Adalrico</u>
<u>Horst</u>	<u>Antje</u>	<u>Carsten</u>	<u>Gottfried</u>	<u>Faiga</u>
<u>Cort</u>	<u>Floy</u>	<u>Cecania</u>	<u>Adolfina</u>	<u>Hans</u>
<u>Arabelle</u>	<u>Arida</u>	<u>Erika</u>	<u>Anton</u>	<u>Adelfried</u>
<u>Dame</u>	<u>Dedrick</u>	<u>Hansel</u>	<u>Gretchen</u>	<u>Frederika</u>
<u>Gottfried</u>	<u>Berit</u>	<u>Hansi</u>	<u>Gunther</u>	<u>Fritz</u>
<u>Aronne</u>	<u>Blaz</u>	<u>Immanuel</u>	<u>Hackett</u>	<u>Heinrich</u>
<u>Konrad</u>	<u>Bluma</u>	<u>Hastings</u>	<u>Hahn</u>	<u>Heller</u>
<u>Jurgen</u>	<u>Brandeis</u>	<u>Fritzi</u>	<u>Handel</u>	<u>Helma</u>
<u>Anneliese</u>	<u>Kellen</u>	<u>Garin</u>	<u>Idonia</u>	<u>Helmine</u>
<u>Jakob</u>	<u>Kiefer</u>	<u>Geert</u>	<u>Ilse</u>	<u>Helmuth</u>
<u>Karsten</u>	<u>Ademaro</u>	<u>Dionysus</u>	<u>Klara</u>	<u>Alphonse</u>
<u>Hieronymus</u>	<u>Klemens</u>	<u>Greta</u>	<u>Ivo</u>	<u>Kasch</u>
<u>Kasimir</u>	<u>Dieter</u>	<u>Josef</u>	<u>Hansine</u>	<u>Hugo</u>
<u>Dietrich</u>	<u>Kaspar</u>	<u>Dagobert</u>	<u>Jarvinia</u>	<u>Claus</u>
<u>Adelbert</u>	<u>Dietlinde</u>	<u>Katrine</u>	<u>Karl</u>	<u>Agneta</u>
<u>Dore</u>	<u>Claire</u>	<u>Aubin</u>	<u>Clarabelle</u>	<u>Butler</u>

<u>Dory</u>	<u>Diggory</u>	<u>Diane</u>	<u>Armynel</u>	<u>Clarice</u>
<u>Chevalier</u>	<u>Cheyney</u>	<u>Didier</u>	<u>Ciprien</u>	<u>Clark</u>
<u>Chevy</u>	<u>Ciel</u>	<u>Dixie</u>	<u>Burnell</u>	<u>Arnett</u>
<u>Bruce</u>	<u>Cinderella</u>	<u>Donatien</u>	<u>Burnet</u>	<u>Aubert</u>
<u>Brigitte</u>	<u>Audric</u>	<u>Aveline</u>	<u>Burgess</u>	<u>Avenall</u>

*ლექცია - 1 სთ.*

*რეალიების თარგმნის პრობლემები. ეგზოტიზმების ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა.*

*ლიტ. 3 გვ. 62-68*

*ჯგუფური მუშაობა - 2 სთ.*

*რეალიების თარგმნის პრობლემები. ეგზოტიზმების ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა.*

*ლიტ. 4 გვ. 104-110*

**გ) იმ ფონური ინფორმაციის კლასიფიკაცია, რომელიც საჭიროებს ადაპტაციას**

მეცნიერები ფონური ცოდნის სხვადასხვა კლასიფიკაციას გვაწვდიან, საკმაოდ ამომწურავი კლასიფიკაცია ეკუთვნის ვინოგრადოვს, რომელიც შემდეგ ძირითად თემატურ ჯგუფებს გამოყოფს:

1) **საყოფაცხოვრებო:** საკუთრების სახელები: ტანსაცმელი, სახლები, მორთულობა; საჭმელ-სასმელი; საქმიანობა; ფულის, წონის, ზომის, დროის ერთეულები; მუსიკალური ინსტრუმენტები, ეროვნული დღესასწაულები, თამაშები, მიმართვები.

2) **ეთნოგრაფიული და მითოლოგიური:** ეთნიკური და საზოგადოების წარმომადგენლები; ღვთაებები, ლეგენდარული და ზღაპრული არსებები, ადგილები.

3) **ბუნების სამყარო:** ცხოველები, მცენარეები, ლანდშაფტი.

4) **საზოგადოებრივი წყობის, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები:** ადმინისტრაციული ერთეულები, ინსტიტუტები; საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტიები და მისი მონაწილეები; პროფესიები, ტიტულები.

5) **ასოციაციური რეალიები:** ფერების სიმბოლიკა; ფოლკლორული, ისტორიული და ლიტერატურული ალუზიები; ვეგეტატიური და ონომასტიკური რეალიები; ენობრივი ალუზიები (ფრაზეოლოგიზმები, ანდაზები).

ასოციაციური რეალიები სათარგმნელად განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენენ. საქმე ისაა, რომ სიტყვის კონოტაციები, მათი ხატოვანი გამოყენება სხვა ლინგვოკულტურული საზოგადოების წევრისათვის იმდენად მნელი აღსაქმელია, რომ შეიძლება მთარგმნელსაც გამორჩეს. რაც არ უნდა კარგად იცოდეს მთარგმნელმა დედნის ენა და ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის ზნე-ჩვეულებები, მისთვის მაინც რთულია მნიშვნელობის ყველა ნიუანსის გაგება. სწორედ გაგების შემთხვევაშიც მის წინაშე წამოიჭრება ამ ნიუანსის გადმოცემის პრობლემა. მაგალითად, ვ.ვინოგრადოვს მოყავს ფერების სიმბოლიკის ძალზედ საინტერესო მაგალითი: პანამელი მწერალის ჰოაკინ ბელინიოს ნაწარმოები “Luna Verde” სიტყვასიტყვით ითარგმნა რუსულ ენაზე “მწვანე მთვარე.” რუს მკითხველში ამ სიტყვათშეთანხმებამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ არასასურველი ასოციაციები. ჩილესა და პანამის მცხოვრებთათვის – ეს არის იმედის, სიკეთის მომასწავებელი, რადგანაც ბევრი ლათინოამერიკელისთვის მწვანე ფერი ასახიერებს ცხოვრების ტრფიალს, მთვარე კი იწვევს ასოციაციას ადამიანის სულიერ სამყაროსთან, მის განწყობასთან, ბედთან.

ხშირ შემთხვევაში მთარგმნელმა უნდა განსაჯოს რამდენად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ რეალიის გადმოტანა, და შემდეგ უკვე შეარჩიოს მისი თარგმნის ხერხები. ჩვეულებრივ რეალიის სრული შენარჩუნება არ ხერხდება და თარგმნისას მან შეიძლება განიცადოს მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, ან

საერთოდ გაქრეს. ამიტომაცაა, რომ რეალის თარგმნის საშუალებების არჩევისას მთარგმნელს დიდი სიფრთხილე მართებს და მთავარი კრიტერიუმი ამ დროს არის ტექსტის კომუნიკაციური ეფექტი და მიზანი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ რეალის როლი, თუ აქვს მის შენარჩუნებას გადამწყვეტი როლი მნიშვნელობის შესანარჩუნებლად.

## ე) ადაპტაციის დამოკიდებულება ტექსტის

### ტიპოლოგიურ-ჟანრობრივ თავისებურებაზე

ტექსტის პრაგმატულ პრობლემებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ადაპტაცია უშუალოდ იმაზეა დამოკიდებული თუ რა ჟანრს მიეკუთვნება ორიგინალის ტექსტი და რეცეპტორის ტიპზე. მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას მთარგმნელს საკმაოდ რთული ამოცანების გადაჭრა უხდება, როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური პრობლემებისა, რომლებიც შესწორებების შეტანას მოითხოვენ. მსგავსი სიტუაციაა პუბლიცისტური და საინფორმაციო ტექსტების გადათარგმნისას. მასმედიის ტექსტებში ტოპონიმები, ცნობილ ადამიანთა წოდებები და პოსტები ყოველთვის მითითებულია. უფრო იშვიათად ხდება მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურის პრაგმატული ადაპტაცია, რადგანაც ის ჩვეულებრივ თავისი საქმის სპეციალისტებზეა გათვლილი. მარგამ, ადაპტაციას მაინც მიმართავენ გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად, სხვადასხვა ენებში განსხვავებული კომუნიკაციური ეფექტი შეეძლება გამოიწვიოს ისეთი ენობრივი საშუალებების გამოყენებამ, რომელიც არ არის დამახასიათებელი გარკვეული ტიპის ტექსტებისათვის. მაგალითად, სალაპარაკო ლექსიკა და ხატოვანი გამოთქმები ინგლისურენოვან მეცნიერულ-ტექნიკურ ტექსტებში სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და მათი გამოჩენა ტექსტებში არ მიიპყრობს მკითხველთა ყურადღებას. როდესაც მსგავსი ტექსტი ითარგმნება ენაზე, რომლის სამეცნიერო-ტექნიკური სტილისათვის არ არის დამახასიათებელი ასეთი მეტყველება, ამას შიძლება არასასურველი შედეგი მოყვეს: მსგავსი თავისუფალი სტილის შენარჩუნებამ ქართულ ან რუსულ ენაზე თარგმნისას, სადაც ასეთი სტილი არ დაიშვება, შეიძლება არასერიოზულობისა და ავტორის “არამეცნიერული” მიდგომის შთაბეჭდილება დატოვოს.

*ჯგუფური მუშაობა - 2 სთ.*

*ლექსიკურ-სემანტიკური მოდიფიკაციები: გენერალიზაცია და კონკრეტიზაცია, ანტონიმური თარგმანი.*

*ლიტ. 1 გვ. 144-154, 2 გვ.93-94*

დავალება 1. გაანალიზეთ ტექსტი. რა ტიპის ლექსიკური ერთეულები წარმოადგენს სირთულეს თარგმანის თვალსაზრისით და რა ცვლილება შეიძლება განიცადონ მათ წყარო ენაში.

დავალება 2. გადათარგმნეთ ტექსტი ფურცლიდან. დაშვებული მცირე პაუზები წინადადებებს შორის.

The Naked and the Dead (1948) brought Norman Mailer unexpected and unnerving acclaim. But he turned his back on his easy success and began a deeper exploration of the contemporary consciousness than the technique of his first novel would allow. He has been savagely attacked for the "failure" of his later work, as well as for his unorthodox public opinions and behaviour. It was over a decade after the publication of his first novel before critics began to realize that Mailer's own instincts were surer than those of his reviewers. Structurally, The Naked and the Dead is well made. The events of the novel, reinforced by Mailer's ironic

commentary, illustrate a deterministic view of the war. The war is shown to be irrational, a series of almost random accidents, despite the huge, intricate military organizations which nominally direct it. It is, in the structural metaphor of the whole novel, like a wave whipped up somewhere far offshore, gathering amplitude and direction, crashing upon a beach, receding once again. Mailer's soldiers -- even his general -- are like the molecules of water involved. The only fact is death, and confronted by the fact, man is naked. Much of Mailer's technique is derived from Dos Passos, Steinbeck, Hemingway, and later Fitzgerald -- much, much later. And Thomas Wolfe, of course.

*ჯგუფური მუშაობა - 2 სთ.*

*ლექსიკურ-სემანტიკური მოდიფიკაციები: აღწერილობითი თარგმანი და მთარგმნელობითი კომენტარი (კომპენსაცია).*

დავალება 1. ნახეთ ფრაგმენტი ფილმიდან „21“. თუ იყო დიალოგში რამე გაურკვეველი ქართველი აუდიტორიისთვის?

დავალება 2. გაეცანით ტექსტს და გაანალიზეთ რომელი რეალია თუ ტერმინი საჭიროებს ახსნა–განმარტებით თარგმანს, აზრობრივ გავრცობას?

### ტექსტი 1

Research Triangle Institute is a not-for-profit contract research corporation located on a 180-acre campus in North Carolina's Triangle Park. RTI is a free-standing corporate entity created in 1958 by joint action of the University of North Carolina at Chapel Hill, Duke University, and North Carolina State University. RTIs organisation facilitates the formation of multidisciplinary teams to address complex research issues in many scientific, technical, and social subjects.

### ტექსტი 2

The saga of the Northwest Indians probably began millennia ago when hunting families in search of food set out from Siberia, walked across a land bridge, the Bering Strait, to a new country that became known as Alaska. Later, many Indian tribes lived south of the Arctic Circle and divided into two distinct language groups: the Algonquians extended eastward to below Hudson Bay, and the Athapascans stayed in Northwest Canada. Gradually, some of each group moved southward.

### ტექსტი 3

The Lewis and Clark explorers of 1803 to 1806 probably were the first white men to be seen by some descendants of those ancient Athapaskan tribes. Mainly they lived on the north side of the Columbia River; on the south side of the river tribes of the Salishan language family located. Salishan Indians derived their name from the Salish, another name for the Flathead tribes of Montana. Among other tribes of this group are Chelan, Okanogan, Wasco, Kwakiutle, Aleut, etc.

### ტექსტი 4.

I spent an afternoon with Peter Lasko at his house in the village of Montaigu de Quercy. A distinguished, grey-haired man in his sixties, I had met him several

times before he knew that, as a writer, I specialised in Ethiopia and the Horn of Africa. He therefore began asking me why I had suddenly taken an interest in medieval French cathedrals.

I replied by outlining my theory that the sculptures I had seen in the north porch of Chartres might in some way have been influenced by the Kebra Nagast'. 'Melchizedek with his cup could represent Old Testament Israel/ I concluded. 'He was priest-king of Salem, after all, which a number of scholars have identified with Jerusalem. Then the Queen of Shub-ad with her African servant could represent Ethiopia. And then we have the Ark between the two.'

ლიტ. 2 გვ. 94-96

*გგუფური მუშაობა - 2 სთ.*

*ლექსიკურ-სემანტიკური მოდიფიკაციები. ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის პრობლემები.*

ლიტ. 4 გვ. 65-73, 5 გვ. 180-183

დავალება 1. გადათარგმნეთ შემდეგი წინადადებები, ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე აქცენტირებით:

### ვარიანტი 1

1. He had to keep a sharp eye on his sister for the sake of her good.
2. The woman obviously had the gift of second sight, whatever it might be.
3. It was still not unheard of for an angry parent to cut off his son with a shilling.
4. If you haven't been born under a lucky star you just have to work all the harder to get what you want.
5. Oh, by the way, if you want a bath, take one. There ain't a Peeping Tom on the place.
6. The mere sound of that execrable, ugly name made his blood run cold and his breath come in laboured gasps.
7. He would stand second to none in his devotion to the custom.
8. I can't make out how you stand London society when it has gone to the dogs, a lot of damned nobodies talking about nothing.

9. According to Michael, they must take it by the short hairs,'or they might as well put up the shutters.

10. He knew how the land lay between his hopes and the number of missions Colonel Cathcart was constantly increasing.

11. I thought it my duty to warn you, but I'm prepared to take the rough and the smooth.

## ვარიანტი 2

1. The most depressing rumours are about here as to the next... production -- Julius Caesar or some such obsolete rubbish... Will nothing persuade him that Queen Anne is dead!

2. I could not let him talk to me like some Dutch uncle.

3. She offered me a choice between French and Russian dressing, and I chose the latter, and she brought something red in a small sauper.

4. He replied that The Star-Spangled Banner was the greatest piece of music ever composed.

5. They couldn't touch him because he was Tarzan, Cain and the Flying Dutchman.

6. Aunt Ursula knew Oswald well enough to be a little suspicious of his Greek gifts, but could not help being flattered by his attention.

7. This is a Trust Fund. Anything that it supports must be Caesar's wife.

8. In short, gentlemen, I come to you bearing an olive branch.

9. At last he would return, like the prodigal son, gloomy, worn out, and disgusted with himself.

10. They motored up, taking Michael Mont, who, being in his seventh heaven, was found by Winifred 'very amusing'.

*ლექცია - 2 სთ:*

*თარგმნის გრამატიკული პრობლემები. ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვის*

სპეციფიკა.

ლიტ. 4 გვ. 74-82

**ჯგუფური მუშაობა - 2 სთ.**

თარგმნის გრამატიკული პრობლემები. მოძველებული ლექსიკა: არქაიზმები და ისტორიზმები ორიგინალში და თარგმანში.

ლიტ. 3 გვ.137-148, 5 გვ.137-139

როდესაც ენათმეცნიერებაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა კონსტრუქტივიზმის ლინგვისტიკა, მეცნიერები ყურადღებას ძირითადად ენობრივ სისტემებზე ამახვილებდნენ, მათ თვისებებზე, მსგავსება-სხვაობაზე, რომელიც თარგმანის ერთ-ერთ უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორად მიაჩნდათ. მოგვიანებით ყურადღების ცენტრში მოექცა ენობრივი ერთეული, მისი მნიშვნელობა და ის მნიშვნელობა, რომელსაც იგი იძენს მეტყველებაში ფუნქციონირების დროს. ნებისმიერი ერთეული ფუნქციონირების შედეგად იძენს დამატებით კონოტაციურ მნიშვნელობას, დამატებით, გადატანით მნიშვნელობას.

ენობრივი სისტემა მართლაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც მოქმედებს თარგმანზე და თავიდანვე უნდა ვიცოდეთ თუ რა სისტემებს მიეკუთვნება წყარო და სამიზნე ენები. იმ შემთხვევაში თუ ენები ერთ ენობრივ ოჯახში შედიან, მოსალოდნელია, რომ მათი ენობრივი სისტემები მსგავსია, ან უფრო დაახლოებულია ვიდრე სხვა ოჯახის ენები. მნიშვნელოვნად ართულებს თარგმანს სხვადასხვა ტიპის ენებთან მუშაობა, რადგანაც ასეთი ენების სისტემები შეიძლება პრინციპულად განსხვავდებოდეს ერთიმეორისგან.

ენობრივი სისტემების შეპირისპირებისას ყოველთვის ხდება ენობრივ ერთეულთა დამთხვევა თუ განსხვავება. დამთხვევა, ჩვეულებრივ, ე.წ. უნივერსალიებს ეხება, რომლებიც ენათა დიდ ჯგუფს მოიცავს. ელემენტთა დამთხვევა თუ განსხვავება სისტემის ყველა დონეზე ხდება: ფონეტიკურზე, მორფოლოგიურზე, ლექსიკურზე, სინტაქსურზე, სიტყვათწარმოქმნისა და ფრაზეოლოგიურ დონეზე და ა.შ.

მაგალითად, ინგლისურ ენაში ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე აზრობრივ-განმასხვავებელ ფუნქციას ასრულებს, მაშინ როდესაც ქართულ ენაში (სვანური ენის გამოკლებით) ამ ფონეტიკურ მოვლენას მსგავსი ფუნქცია არ აკისრია.

ლექსიკურ დონეზეც შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავებები. თითქოსდა ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვებიც შეიძლება არ იყოს ადეკვატური და, შესაბამისად, გამოიწვიოს აზრის დარღვევა. ბარხუდაროვი აღნიშნავს, რომ ინგლისური morning არ შეესაბამება რუსულ სიტყვას утро (შეგვიძლია პარალელი გავავლოთ ქართულ სიტყვასთან “დილა”), day და день (დღე), evening და вечер, (საღამო). ეს სიტყვები არ წარმოადგენენ ერთმანეთის შესატყვისს, რადგანაც მათი მნიშვნელობა მხოლოდ მიახლოებითია და ამის მიზეზი ის არის, რომ ინგლისურში 24 საათიანი მონაკვეთი ჩვენგან განსხვავებულად ნაწილდება.

ინგლისურ და ქართულ ენებს სიტყვათწარმოქმნის სხვადასხვა საშუალებები გააჩნიათ. სიტყვა football ქართულ ენაში კალკის სახით შემოვიდა – ამავე ცნების გამოსახატავად იდენტური ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით შეიქმნა სიტყვა “ფეხბურთი”. ამავედროულად სიტყვის **goalkeeper** ნაცვლად გვაქვს “მეკარე.” ქართული ენის სიტყვათწარმოქმნის ნორმების დაცვით შექმნილი ეს სიტყვა თავისი სემანტიკური მნიშვნელობითაც უფრო ახლოს დგას ინგლისურ სიტყვასთან, ვიდრე მისი “არშექმნილი” კალკა იქნებოდა.

ფრანგი ლინგვისტი ჟ.მუნენი აღნიშნავდა, რომ ენობრივი სისტემების აშკარა ასიმეტრიულობის გამო, თეორიულად თარგმანი შეუძლებელია, მაგრამ ეს თეორიული დასკვნა აშკარად ეწინააღმდეგება პრაქტიკას, რომლის მცდელობებსაც კაცობრიობა იყენებს რამოდენიმე ათასწლეულის მანძილზე. “შეიძლება ითქვას, რომ თარგმანის არსებობა თანამედროვე ლინგვისტიკისათვის სკანდალის ტოლფასია” – აგრძელებს მუნენი (Mounin G. Les problemes theoriques de la traduction. Paris, 1963).

სხვადასხვა ენების სისტემების ასიმეტრია განსაკუთრებით ნათლად ჩანს გრამატიკული და ლექსიკური სისტემების შედარებისას. გრამატიკული კატეგორიების ადეკვატური გადაცემის პრობლემა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: ენაში X-1 არსებობს რომელიმე გრამატიკული კატეგორია, ენაში X-2 კი არა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თარგმნისას ამ კატეგორიისათვის

ყოველთვის უნდა მოიძებნოს ანალოგი (სავალდებულო არაა – გრამატიკული)?

მაგალითად, ინგლისურში არის განსაზღვრულობის/განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორია, ქართულში კი არა. სიტუაციის მიხედვით, სიტყვათშეთანხმება on the table შეიძლება ითარგმნოს, როგორც **მაგიდაზე** ან **ამ მაგიდაზე**. ამ პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია მის კომუნიკაციურ მნიშვნელობაზე, იმაზე, თუ რამდენად იმოქმედებს განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის დაზუსტება მთლიანი ფრაზის მნიშვნელობაზე და რა შედეგი ექნება თხრობის შემდეგი მიმდინარეობისათვის.

ამ მხრივ საინტერესოა სქესის გრამატიკული კატეგორიის არსებობა/არარსებობა ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებში.

მაგ, **ship** – ინგლისურში მდებდრობითი სქესისაა, რუსულში კი (თარგმანში -- ) მამრობითის. ამიტომაც ორიგინალსა და თარგმანში ვკითხულობთ: **He left the ship on Tuesday, and as it steamed away from the landing-stage he gazed after it regretfully.**

“There she goes,” he said.

,

.

--

! --

.

ქართულ ენაში კი სქესის გრამატიკული კატეგორია ნაცვალსახელებს არ გააჩნიათ, ამიტომაც მსგავსი რამ თარგმანში არ აისახება: სამშაბათს ნაპირზე გადმოვიდა, როცა გემი ნავსადგურს შორდებოდა, დაღონებულმა თვალი გააყოლა და თქვა:

– აი, მიდის და თან მიაქვს ჩემი ორი ფუნტი, რომელიც მე არ დამიხარჯავს.

ამ მაგალითში ამ გასხვავებას მართალია არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ არის შემთხვევები როდესაც ამ ნიუანსებს გარკვეული აზრობრივი დატვირთვა აქვთ. მაგალითად ერთი ფილმის გმირი, ამბობს თავის მეზობელ

ჰომოსექსუალისტზე: he is my sister. რუსულ ენაში ნაცვალსახელის სქესობრივი კატეგორიის არსებობის წყალობით თარგმანი ინარჩუნებს ამ რეპლიკის იუმორს: . მაშინ როდესაც ქართული ენის გრამატიკა არ იძლევა ამის საშუალებას.

ზოგიერთ შემთხვევაში კი, პირიქით, რუსულ ენაზე მთარგმნელისთვის ხელის შემშლელია ის ფაქტი, რომ არსებით სახელებს გააჩნიათ სქესი, მაშინ როდესაც სათარგმნი სიტყვა არ იძლევა მისი ამოცნობის საშუალებას. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი, როგორც ყოველთვის, კონტექსტზე დაყრდნობით აკეთებს არჩევანს. მაგალითად, სიტყვის cousin თარგმნისას რუსი მთარგმნელი, მთავარი გმირების, თემისა და იდეის ცოდნიდან გამომდინარე თარგმნის მას, როგორც .

ინგლისური და რუსული გრამატიკული კატეგორიებით გამოხატული ინფორმაციის განსხვავების გამო, მთარგმნელს ორი სხვადასხვა სიტუაცია, ორი არჩევანი გააჩნია. პირველ რიგში სწორედ ამით აიხსნება მნიშვნელობის შესამჩნევი ცვლილება თარგმნისას, როდესაც თარგმანი ხორციელდება სხვა თარგმანიდან და არა დედნიდან. მნიშვნელობის მსგავს ცვლილებებს შვეიცარიელი მეცნიერი ს.ო.კარცევსკი წამგებიანი/არასასურველი კურსით ვალუტის დახურდავებას ადარებდა.

თარგმნისას გრამატიკული განსხვავებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ მათი მეტაფორიზაციის შემთხვევაში. ეს მოვლენა დეტალურად აღწერა იაკობსონმა ი.ა.რეპინის მაგალითზე. ი.ა.რეპინი გაოცებული იყო იმით, რომ გერმანელი მხატვრები ცოდვას ქალის სახით გამოხატავდნენ (ეს იმით აიხსნებოდა, რომ სიტყვა ცოდვა გერმანულ ენაში მდებრობითი სქესისაა). მსგავს სირთულეს წააწყდა მთარგმნელი როდესაც ჩეხურ ენაზე თარგმნიდა ბ.პასტერნაკის პოეტურ კრებულს „ჩემი და სიცოცხლე,, , რადგანაც თავად ჩეხურ ენაში სიცოცხლე მამრობითი სქესისაა.

**We have had a pleasant trip, and my hearty thanks for it to old Father Thames.**

**Путешествие было на славу; я от души благодарен старушке Темзе.**

ჩინებულად ვიმგზავრეთ, რისთვისაც გულითადი მადლობა მომიხსენებია ჩვენი ბებერი დედა თემზისათვის.

მეტაფორიზირებული კონსტრუქციის – **Father Thames** – რუსულზე გადათარგმნის დროს მ.ი.დონსკოიმ რუსული გრამატიკული ანალოგი გამოიყენა. რუსულ ენაზე თემზა მდედრობითი სქესისაა. ერთ-ერთი მიზეზია რუსული დაბოლოება -ა და, გარდა ამისა, გეოგრაფიული ტოპონიმის სქესის განსაზღვრა გვარობის მიხედვით (მდინარე, რომელიც რუსულ ენაში ასევე მდედრობითი სქესისაა), ამიტომაცაა, რომ თარგმანში გვაქვს – **старушка Темза**.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ქართულ ენაში **მდინარეს** სქესის გრამატიკული კატეგორია არ გააჩნია, მაგრამ, ქართულ და რუსულ ენებს შორის სიახლოვემ, რგორც ჩანს, განაპირობა მეტაფორული სახეების დაახლოვება. ამიტომაც გახოკიძეს ასევე აქვს თარგმნილი – **ჩვენი ბებერი დედა ტემზა**.

გრამატიკული კატეგორიების ასეთი მეტაფორიზაციაა შემდეგ სიტყვათშეთანხმებაში/გამოთქმაში **Mother Earth**, რუსულში – , ქართულში კი – **მშობელი მიწა**. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენაში სიტყვას arth არა აქვს სქესი, მას ტრადიციულად მდედრობითი სქესის ნაცვალსახელი ცვლის. მოცემულ შემთხვევაში მას სრულიად შეესაბამება რუსული , რაც შეეხება ქართულ თარგმანს დედამიწა მართალია არის ინგლისური ვარიანტის უზუალური ეკვივალენტი, ა.გახოკიძე ირჩევს ვარიანტს – მშობელი მიწა, რითაც ხაზს უსვამს, რომ საუბარია მშობლიურ მიწაზე.

ტექსტის ენობრივი გაფორმების პრობლემებს მხოლოდ გრამატიკული კატეგორიები არ მიეკუთვნება. შედარებით ნაკლებად არის გაშუქებული სტილისტური, სინტაქსური და თემა-რემატული სტრუქტურებისა და ფონეტიკური სხვაობები. ენობრივი ნორმები ძალიან განსხვავდება ორთოგრაფიასა და ორთოეპიაში. ამიტომაც ხშირია ინგლისური ენის ერთი და იგივე თავისებურებების სხვადასხვაგვარად გადმოცემა. ინგლისურში Will, ქართულში – ბილი, რუსულში კი – ; ინგლისურში -- **Kyningestun, Elgiva, Harry, Hamton-Court**; ქართულში –**ჰმონმორენსი, კინინგესტუნი,**

ელჯივი, ჰარი, ჰემპტონ-კორტი; რუსულში – , , ,

- .

